საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6224
01/08/2023

6224-21-2-202308011224

შპს „პლასტიკ ადიოსს“
მის: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი,
ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა, N10ა,
კორპუსი N3, სართული N2, ბინა N13;
ელ.ფოსტა: plasticadios.ge@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილი N5039 განცხადება, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მერიაში პლასტმასის ნარჩენების აღდგენის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გზშ-ის ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში (ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები) მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების პარამეტრები წარმოდგენილია არასწორად, კერძოდ: არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროების პარამეტრები, დიამეტრი, ჰაერის ნაკადის სიჩქარე მ/წმ და მოცულობითი სიჩქარე $მ^3$/წმ, რაც ასევე ასახულია გამოყენებულ ავტომატიზებულ კომპიუტერული პროგრამა **„ეკოლოგში“.** აღნიშნული პარამეტრების არასწორად გამოყენების შემთხვევაში წარმოდგენილი შედეგები პროპორციულად ასახავს საბოლოო მონაცემების სისწორეს. შესაბამისად ზემოაღნიშნული საკითხები საჭიროებს კორექტირებას.

ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და საპროექტო ტერიტორიის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ საწარმო გამოიყენებს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების არსებულ/ძველ მილს. შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია აღნიშნული მილის ჰერმეტულობის შესახებ.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული საკითხის/შენიშვნის შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის 1 თვის ვადაში წარმოდგენა. აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო